



საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-5/8678
07/09/2021

8678-15-5-2-202109071603



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს
ბატონ ვახტანგ გომელაურს

წინადადება

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების სასამართლოში დაგვიანებით
გაგზავნის გამო პოლიციელების მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების
შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული
შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის
შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ვახტანგ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოქალაქე [REDACTED]
ადვოკატის [REDACTED] N4281/21 განცხადებისა და საქმის მასალების
შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს საქართველოს შინაგან
საქმეთა სამინისტროს მოსამსახურების მხრიდან სამსახურებრივ მოვალეობათა
არაჯეროვნად შესრულებას,¹ რაც გამოიხატა შემდეგში:

ფაქტობრივი გარემოებები

ადვოკატ [REDACTED] განმარტებით, 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო
არჩევნებზე დამკვირვებლის [REDACTED] მიმართ ადგილი ჰქონდა მოქალაქეს
მხრიდან იარაღის გამოყენებით სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მოსპობის მუქარის ფაქტს

¹ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N989 ბრძანების N1 დანართის (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდება) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა¹“ ქვეპუნქტი: დისციპლინური გადაცდომის სახეა სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულება.

მისი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, თუმცა გამოძიება არ დაიწყო და პოლიციამ ადმინისტრაციული წესით დაკავა არა მხოლოდ კანონდამრღვევი, არამედ მსხვერპლიც.

ადვოკატის მტკიცებით, ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას პოლიციას არავინ გამოუკითხავს, არ მოუპოვებია ვიდეო ჩანაწერები (დაცვის მხარემ ჩანაწერები შენახვის ვადის გასვლის გამო ვერ მიიღო), სამართალდარღვევის ოქმები არა დაუყოვნებლივ, არამედ 2 თვის დაგვიანებით - 2020 წლის 29 დეკემბერს გააგზავნა სასამართლოში, რომელმაც წარმოება შეწყვიტა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

შესაბამისად, ადვოკატი აცხადებდა, რომ პოლიციელების მიზანი მტკიცებულებათა განადგურება იყო და მათ შექმნეს პირობები, რომ ფაქტები არ დადგენილიყო. შესაბამისად, ვერ განხორციელდა მართლმსაჯულება, დაზიანდა დაზარალებულის ინტერესებიც.

საქმის მასალების მიხედვით:

ადმინისტრაციული დაკავების ოქმების თანახმად, 31.10.2020 წ. თბილისში, გლდანის პირველი მც/რ-ნის მე-17 კორპუსის ტერიტორიაზე პოლიციამ დააკავა: 16:25 საათზე - [REDACTED] (პირადი გასინჯვისას წელზე მარჯვენა მხარეს საქამრები აღმოაჩნდა შავი ფერის პისტოლეტის მაგვარი ნივთი წარწერით: „WALTHER“ №CP99COMPACT, დაილუქა N27/10/3.), 16:30 საათზე - [REDACTED], 16:35 საათზე - [REDACTED];

პოლიციელების პატაკების მიხედვით, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს შეამჩნიეს მოქალაქეები, მათ შორის, [REDACTED], [REDACTED] და [REDACTED] [REDACTED], რომლებიც ილანძლებოდნენ და იგინებოდნენ ხმამაღლა, ისინი იმყოფებოდნენ საზოგადოებრივ ადგილზე და შესაბამისად, მათი მოქმედება არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს და მოქალაქეთა სიმშვიდეს. [REDACTED] არ დაემორჩილა მათ არაერთგზის კანონიერ მოთხოვნას. პოლიციელებმა სამივე მათგანი დააკავეს ადმინისტრაციული წესით;

31.10.2020-წ. დათარიღებული [REDACTED], [REDACTED] და [REDACTED] ხელწერილები, გამოძახებისთანავე გამოცხადდებოდნენ;

31.10.2020-წ. პოლიციელების მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები შედგენილია: [REDACTED] მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით (იგინებოდა და ილანძლებოდა ხმამაღლა, იმყოფებოდა საზოგადოებრივ ადგილზე და ირღვეოდა საზოგადოებრივი წესრიგი და მოქალაქეთა სიმშვიდე, არ დაემორჩილა [პოლიციის] კანონიერ მოთხოვნას); [REDACTED] (უხეშად არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს, კერძოდ, ხმამაღლა ყვიროდა და იგინებოდა) და [REDACTED] (არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს, კერძოდ, იგინებოდა და ყვიროდა, პოლიციის არაერთი მოთხოვნის [მიუხედავად] არ გაჩერდა) მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით;

26.10.2020 ცესკო-ს განკარგულების თანახმად, საქართველოს პარლამენტის 31.10.2020 წ. არჩევნებისთვის ა(ა)იპ „სამოქალაქო განვითარების საერთაშორისო ქსელის“

ადგილობრივი დამკვირვებლებს, მათ შორის, ██████████, მიენიჭათ
დამკვირვებლის სტატუსი ყველა დონის შესაბამის საარჩევნო კომისიაში;

31.12.2020წ. პოლიციელის მიმართვის წერილით, სამინისტროს კრიმინალისტიკურ
სამართველოს გაეგზავნა ბალისტიკური ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილება და
პისტოლეტის მაგვარი საგანი წარმოდგენილი იქნება პირადად 27/10/3; 31.10.2020წ.
ბალისტიკური ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილების მიხედვით, ადმინისტრაციულ
სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით დაკავებულ ██████████ პირადი
გასინჯვისას აღმოაჩნდა პისტოლეტის მაგვარი საგანი „EALTER“ №CO99COMPCT,
რომელიც დაილუქა ლუქით 17/10/3. დადგენილებაში მითითებულია საქართველოს
სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-145-ე მუხლებით.

ბალისტიკური ექსპერტიზის 03.11.2020 წ. N841/ბ დასკვნის თანხმად, ფუთა დალუქულია
N27/10/3 ბეჭდის ანაბეჭდით, შეფუთვის და დალუქვის მთლიანობა დარღვეული არ
ყოფილა. ექსპერტიზაზე წარმოდგენილი იარაღი წარმოადგენს ქარხნული წესით
დამზადებულ 4,5 მმ კალიბრის WALTHER CP99 compact პნევმატურ პისტოლეტს, არ
მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ვარგისია სროლისთვის. ლულის
სიგრძეა 105 მმ. გასროლილი ჭურვის საშუალი სიჩქარე 102 მ/წ. ენერგია 82 ჯოული.
საკითხის - საშიშია თუ არა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის დადგენა არ
წარმოადგენს ბალისტიკური ექსპერტიზის საგანს;

29.12.2020წ. პოლიციელებმა თბილისის საქალაქო სასამართლოში გააგზავნეს
ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები ცალ-ცალკე ██████████
████████ და ██████████ მიმართ. საქმეში არსებული დოკუმენტები
(ოქმები, პატაკები, ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილება, სასამართლოსთვის მიმართვის
წერილები) შედგენილია ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის
მთავარი სამართველოს პოლიციის პირველი სამართველოს თანამშრომლების მიერ.
ხსენებული 3 საქმე თბილისის საქალაქო სასამართლომ ერთ წარმოებად გააერთიანა.

26.02.2021 თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილებით, დაკმაყოფილდა ██████████
████████ ადვოკატის მოთხოვნა - 31.10.2020წ. თბილისში, გლდანის პირველი მე/რ-ის მე-
17 კორპუსის ტერიტორიაზე 15:00-17:00 საათამდე პერიოდის ამსახველი პატრულ-
ინსპექტორთა სამხრე კამერების ჩანაწერების გამოთხვა და საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს დაევალა ზემოაღნიშნული მტკიცებულების სასამართლოში წარდგენა.
05.03.2021 წ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილის თანხმად, სამხრე
კამერების მეშვეობით მოპოვებული მონაცემები ინახება 30 დღით, რის გამო სამინისტრო
მოკლებული იყო შესაძლებლობას სასამართლოსთვის გადაეცა დადგენილებით
მოთხოვნილი ჩანაწერები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 16 მარტის დადგენილების მიხედვით:

- პოლიციელმა სასამართლოზე განმარტა, რომ საარჩევნო უბანთან კოლეგებთან
ერთად გადაადგილებისას შეჩინა ჩალჩმრაულობა და დაინახეს ██████████
და ██████████ ერთმანეთს აგინებდნენ, ხოლო ██████████ ახლდა ██████████
, რომელიც ██████████ აგინებდა. პოლიციელებმა ██████████

- ჩამოართვეს იარაღი (ექსპერტიზის დასკვნით, არ აღმოჩნდა ცეცხლსასროლი) და სამივე დააკავეს.
- [REDACTED] განმარტა, რომ საზოგადოებრივი წესრიგი არ დაურღვევია, არ იცნობს [REDACTED], მას თავს არ დასხმია და არც დამუქრებია.
 - [REDACTED] ადვოკატმა განმარტა, რომ [REDACTED] არჩევნებზე იყო დამკვირვებელი, რა დროსაც [REDACTED] იარაღის დემონსტრირებით და სიცოცხლის მოსპობის მუქარით დაუწყო გინება. [REDACTED] შეეცადა თავდაცვას, მოქალაქე [REDACTED] სცადა მათ შორის ჩადგომა და [REDACTED] გადარჩენა ჯანმრთელობის დაზიანებისგან. პოლიციელები მოგვიანებით მივიღნენ შემთხვევის ადგილზე.
 - მოწმე [REDACTED] განმარტა, რომ იყო დამკვირვებელი არჩევნებზე ერთ-ერთ საბავშვო ბალში უბანზე. ღობის შიგნით იყვნენ დამკვირვებლები, ღობის მე-2 მხარეს - პოლიცია, რომლებთან ერთად იმყოფებოდა [REDACTED]. რომელიც [REDACTED] აგრესიულად მოუწოდებდა მასთან მისვლისკენ, ხოლო [REDACTED] უხსნიდა, რომ ასრულებდა მოვალეობას და მასთან არ მივიღოდა. [REDACTED] იარაღი გადატენა და მიმართა [REDACTED], რომელსაც შეეშინდა და დასახმარებლად პოლიციას უხმო. არაერთი მოწოდების შემდეგ მივიღნენ პოლიციელები ადგილზე და დააკავეს არა მხოლოდ [REDACTED] არამედ სხვა პირებიც.
 - მოწმე [REDACTED] განმარტებით, საარჩევნო კომისიის წევრი იყო, უბანზე იყო სიმშვიდე, თუმცა ტერიტორიიდან გასვლისას დაინახა 3 პირი, რომლებიც მიღიოდნენ ბალისკენ და ერთ-ერთმა დამკვირვებელს [REDACTED] დაუძახა აგრესიულად, შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოუწოდა მასთან მისულიყო, რაზეც უარი უთხრა. შემდეგ ამ პირმა - [REDACTED] დაუწყო გინება, გადატენა იარაღი და დაუმიზნა, დაახლოებით 7-8 წუთში მივიღნენ პოლიციელები, რომლებმაც დააკავეს [REDACTED], ხოლო [REDACTED] დაკავება მოწმის თანდასწრებით არ მოხდარა.
 - მოწმე [REDACTED] განმარტა, რომ აკვირდებოდა არჩევნებს და ბალის ჭიშკართან დაინახა პირი, რომელიც [REDACTED] იარაღის დამიზნებით და გინებით [REDACTED] სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდა. მოწმე ჩადგა მათ შორის და შეეცადა სიტუაციის შემსუბუქებას, ამავდროულად უხმობდა იქვე ახლოს მდგომ პოლიციელებს, რომელებსაც შემთხვევაზე მყისიერი რეაგირება არ მოუხდენიათ.
- [REDACTED] ადგილზე არ უნახავს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილებით, [REDACTED] მიერ დარღვევის ჩადენის დამადასტურებელ მტკიცებულებად საქმეში მხოლოდ პოლიციელის ახსნა-განმარტებაა. სასამართლომ გამოითხოვა ვიდეო ჩანაწერები, თუმცა მოთხოვნა ვერ შესრულდა, ხოლო დაცვის მხარის წარმოდგენილ ვიდეო ჩანაწერებზე მკაფიოდ და ნათლად არ ჩანს, რომ ის არღვევდა წესრიგს და არ ემორჩილებოდა პოლიციის კანონიერ მოთხოვნას.

საქმეში არსებული მტკიცებულებების შეჯერების საფუძველზე სასამართლომ მიიჩნია, რომ [REDACTED] ქმედება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა

კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების შემადგენლობას არ ქმნის, რადგან ირკვევა, რომ მას უშუალოდ პოლიციელისთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია, წინააღმდეგობა არ გაუწევია. საქმეში არ არის მტკიცებულებათა საკმარისი ერთობლიობა, მისი ბრალეულობა ვერ დადგინდა, მისი მხრიდან სამართალდარღვევის ჩადენას ადგილი არ ჰქონია.

იმავე დადგენილებაში სასამართლომ ასევე, მიუთითა, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია 31.10.2020წ. და საქმე სასამართლოში გადაიგზავნა 29.12.2020 წ. საქმის განხილვის მომენტისთვის ამოწურულია ქმედებისთვის სახდელის დადების 4-თვიანი ვადა. სასამართლომ მიიჩნია, რომ [REDACTED] და [REDACTED] მიმართ უნდა შეწყდეს საქმის წარმოება. სასამართლომ დაადგინა, რომ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირები: [REDACTED], [REDACTED] და [REDACTED] არ ექვემდებარებიან პასუხისმგებლობას, რის გამო მათ მიმართ უნდა შეწყდეს წარმოება.

სამართლებრივი დასაბუთება

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების ამოცანებია: საქმის გარემოებათა დროული, ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამორკვევა, მისი გადაწყვეტა კანონმდებლობასთან ზუსტი შესაბამისობით, კანონიერების განმტკიცება.²

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოები.³ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში აღინიშნება: შედგენის თარიღი და ადგილი; შემდგენის თანამდებობა და ვინაობა; დამრღვევი პიროვნების მონაცემები და ახსნა-განმარტება, სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი; სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის დამწესებელი ნორმატიული აქტი, მოწმეთა და დაზარალებულთა (მათი არსებობისას) ვინაობა და მისამართი, საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობები.⁴

ოქმი დაუყოვნებლივ ეგზავნება იმ ორგანოს (თანამდებობის პირს), რომელიც უფლებამოსილია განიხილოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე.⁵ თუ სამართალდარღვევისთვის სახდელის სახით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პატიმრობა ან ადმინისტრაციული პატიმრობა სხვა სახის სახდელთან ერთად და სახდელის შეფარდების შესახებ დადგენილების გამომცემი მივა დასკვნამდე, რომ პირს სახდელის სახით უნდა შეეფარდოს ადმინისტრაციული პატიმრობა ან ადმინისტრაციული პატიმრობა სხვა სახის სახდელთან ერთად, ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების შესახებ დადგენილების გამომცემი სამართალდარღვევის ჩამდენ პირს დაუყოვნებლივ

² საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხ. 230.

³ იქვე, მუხ. 239, ნაწ. 13.

⁴ იქვე, მუხ. 240, ნაწ. 1.

⁵ იქვე, მუხ. 241.

წარუდგენს შესაბამის სასამართლოს, რომელიც განიხილავს საქმეს და გამოიტანს დადგენილებას.⁶

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლები (თითოეული მათგანი) სახდელის სახით ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პატიმრობას. მოცემული მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს.⁷

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული საქმეები განიხილება 3 დღის ვადაში. საქმის განმხილველი რაიონული (საქალაქო) სასამართლო ზეპირ განხილვას იწყებს დაუყოვნებლივ, სამართალდარღვევის ოქმის და საქმის წარმოების სხვა მასალების მიღებისთანავე, თუ პირის მიმართ გამოყენებულია ადმინისტრაციული დაკავება და ამოწურული არ არის დაკავების ვადა.⁸

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე, ორგანო (თანამდებობის პირი) დაადგენს სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას, პირის ბრალეულობას და საქმის სწორად გადაწყვეტისთვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებებს.⁹ საქმეზე მოწმედ შეიძლება გამოძახებულ იქნეს ყველა პირი, რომლებმაც შესაძლოა რაიმე იცოდნენ ამ საქმესთან დაკავშირებით დასადგენ გარემოებათა შესახებ. მოწმე მოვალეა გამოცხადდეს დანიშნულ დროს, აცნობოს რაც იცის საქმის შესახებ და უპასუხოს დასმულ კითხვებზე.¹⁰ პატრულინსპექტორის მიერ ფორმის ტანსაცმელზე დამაგრებული სამხრე ვიდეოკამერის მეშვეობით მოპოვებული მონაცემები ინახება სპეციალურ სერვერზე, სადაც ინფორმაციის განთავსება ხდება პასუხისმგებელი პატრულ-ინსპექტორის მიერ.¹¹ სამხრე ვიდეოკამერების მეშვეობით მოპოვებული მონაცემები ინახება 30 დღის ვადით.¹²

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე უნდა შეწყდეს მათ შორის, ისეთ შემთხვევებში, თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის მომენტისთვის გასულია დადგენილი ვადები.¹³ კანონით დადგენილია ადმინისტრაციული სახდელის დადების ვადები: რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე სახდელის დადების ვადა არ

⁶ იქვე, მუხ. 208¹.

⁷ იქვე, მუხ. 208.

⁸ იქვე, მუხ. 262, ნაწ. 1¹.

⁹ იქვე, მუხ. 236, ნაწ. 1.

¹⁰ იქვე, მუხ. 256.

¹¹ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის N1310 ბრძანების 12¹ მუხლის პირველი პუნქტი.

¹² „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის N1310 ბრძანების 12¹ მუხლის მე-2 პუნქტი.

¹³ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლის „ა“ და „ზ“ ქვეპუნქტები.

შეიძლება აღემატებოდეს 4 თვეს.¹⁴ შესაბამისად, აუცილებელია ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში განხორციელდეს მართლმსაჯულება.

მოცემული შემთხვევის ანალიზი

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე, გლდანის ერთ-ერთი საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე მომხდარი სავარაუდო კანონსაწინააღმდეგოქმედების ფაქტზე პოლიციელებმა ადმინისტრაციული წესით 3 პირი (მათ შორის, 1 დამკირვებელი) დააკავეს და იმავე დღეს მათ მიმართ შეადგინეს სამართალდარღვევათა ოქმები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (3 პირის მიმართ) და 173-ე მუხლებით (1 პირის მიმართ).

საგულისხმოა, რომ [REDACTED] მიმართ სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია მხოლოდ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით (წვრილმანი ხულიგნბა), თუმცა იმავე ოქმში აღნიშნულია, რომ პოლიციის არაერთი მოთხოვნისა, არ გაჩერდა.

ადმინისტრაციული დაკავების ოქმში [REDACTED] პირადი გასინჯვისას აღმოჩენილი ნივთის წარწერად მითითებულია „WALTHER“ №CP99COMPACT, ლუქი N27/10/3; იმავე წარწერა და ლუქია მითითებული ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნაში; თუმცა ბალისტიკური ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებაში მითითებულია განსხვავებული წარწერა და ლუქი: „EALTER“ №CO99COMPCT, ლუქი 17/10/3. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დასაშვებია ექსპერტის მოწვევა, ჩატარება და დასკვნის გაცემა,¹⁵ დადგენილებაში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმებია მითითებული.

პოლიციელებს ევალებოდათ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები დაუყოვნებლივ გადაეგზავნათ სასამართლოში,¹⁶ თუმცა 31 ოქტომბერს შედგენილი ოქმები თითქმის 2 თვის შემდეგ - 29 დეკემბერს გააგზავნეს სასამართლოში. ამ ხნის განმავლობაში არ მოჰკოვებულა მტკიცებულებები, კერძოდ, [REDACTED] და [REDACTED] მიმართ წარმოებულ საქმეებში არსებული მასალები თარიღდება მხოლოდ 31 ოქტომბრით, ხოლო [REDACTED] საქმეში - სამართალდარღვევის ოქმის შედგენის თარიღის შემდეგ მხოლოდ 1 დოკუმენტი - ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნა მოპოვებული 3 ნოემბერს. შესაბამისად, 31 ოქტომბრის შემდეგ, ოქმებისა და მასალების სასამართლოში გაგზავნის დაგვიანების რაიმე გამამართლებელი მიზეზი არ არსებობდა.

¹⁴ გარდა გამონაკლისისა, რომელთა შორის არ არის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლები. იხ: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილი. ამასთან, ამავე მუხლის 2¹ ნაწილის თანახმად, იმავე კოდექსის 57¹ მუხლით, 57³ მუხლის მე-2 ნაწილით, 57⁴, 63-ე, 66-ე, 66², 664 და 79¹-79³ მუხლებით, 79⁴ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 79⁵ მუხლით, 86-ე მუხლის მე-12 ნაწილით და 159⁵-159⁹ მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯად საქმეზე ამ მუხლის პირველი გათვალისწინებული სახდელის დადების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 6 თვეს სამართალდარღვევის გამოვლენის დღიდან.

¹⁵ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხ. 257.

¹⁶ იქვე, მუხ. 241.

საგულისხმოა, რომ საქმის მწარმოებელ პოლიციელებს სამხრე კამერების ჩანაწერების საქმეზე დართვის მცდელობაც არ ჰქონიათ. მითუმეტეს, სამხრე ვიდეოკამერების ჩანაწერების შენახვის 30-დღიანი შენახვის ვადის¹⁷ გათვალისწინებით პოლიციელებს საკმარისი დრო ჰქონდათ მათ მოსაპოვებლად, ხოლო ოქმის სასამართლოში თითქმის 2-თვიანი დაგვიანებით გაგზავნამ ჩანაწერების მოპოვების შესაძლებლობა დაცვის მხარესაც მოუსპო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილებაში მიუთითა, რომ სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია 31.10.2020წ., ხოლო საქმე სასამართლოში გადაიგზავნა 29.12.2020 წ. საქმის განხილვის მომენტისთვის ამოწყურული იყო ქმედებისთვის სახდელის დადების 4-თვიანი ვადა და 3 პირის მიმართ წარმოება შეწყდა. ამავე დადგენილების თანახმად, [REDACTED] მხრიდან სამართალდარღვევის ჩადენას ადგილი არ ჰქონია.

დასკვნა

ამდენად, პოლიციელების მიერ კანონის იმპერატიული დანაწესის - სამართალდარღვევის ოქმის სასამართლოში დაუყოვნებლივ გაგზავნის¹⁸ დარღვევის, ოქმის 2-თვიანი დაგვიანებით გაგზავნის გამო, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებულ საქმეებზე სახდელის დადების ხანდაზმულობის 4-თვიანი ვადის გათვალისწინებით, შეუძლებელი გახდა მართლმსაჯულების განხორციელება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, დაიწყოთ დისციპლინური საქმისწარმოება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურების მიერ კანონის დარღვევის ფაქტზე და მიიღოთ კანონშესაბამისი გადაწყვეტილება, ვინაიდან მათ ჩაიდინეს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N989 ბრძანების N1 დანართის (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდება) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა - სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულება.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

¹⁷ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის N1310 ბრძანების 12¹ მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁸ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხ. 241.

დანართი: 52 (ორმოცდათორმეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

5- 

